ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1325103

ნომერი: AR1226685

თარიღი : 06.06.2014

გაცემის თარიღი : 12.06.2014

გაცნობის თარიღი : 12.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 3ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერი რამიშვილი პ/ნ 01017004400
- თბილისი ბესიკის ქ. N 5 ბ. 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საჩრდილობლის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. ერთიანი იერსახის შენარჩუნების მიზნით საჩრდილობელი მოეწყოს გვერდზე არსებული საჩრდილობლის მსგავსად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა გაბარიტული ზომის მითითებით.

გარდა ამისა:

1. ვინაიდან შენობა/ნაგებობა მიღებულია ექსპლუატაციაში, ხოლო თქვენს მიერ "ფაილის მიმაგრების" ველში ატვირთულია საპროექტო ფართის ძველი ამონაწერი, სადაც დაფიქსირებულია "მშენებარე", საჭიროა მოხდეს ზემოაღნიშნული ამონაწერის განახლება და განახლებული ამონაწერი ატვირთეთ "ფაილის მიმაგრების" ველში;
2. ვინაიდან საჩრდილობლის მოწყობით გარკვეულწილად იზღუდება სარეკონსტრუქციო ფართის ზემოთ არსებული ყველა ბინის მესაკუთრის/მესაკუთრეების უფლებები, მის/მათ საკუთრებაში არსებული ბინის/ბინების თავისუფალ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რაიმე სახის უთანხმოების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, საჩრდილობლის მოწყობის საკითხი ამ ეტაპზევე შეთანხმებული იქნას საპროექტო ფართის ზემოთ არსებული ბინის/ბინების მესაკუთრე(ებ)სთან. აღნიშნული თანხმობა კი უნდა ატვირთოთ "დამატებითი ფაილის მიმაგრების" ველში და ამასთანავე უნდა მოგვაწოდოთ მისი/მათი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან.

გაითვალისწინეთ: თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.